

**საქართველო სომხეთის არქივებსა და ნივნსაცავებში
(ფონდ 114 ის მიმონილვა)**

2021 წლის 21 ივნისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით ევროკავშირის ჩარჩო-პროგრამა „პორიზონტი 2020“-ის საგრანტო პროექტის ფარგლებში ვიმყოფებოდი სომხეთის დედაქალაქში, რამაც მომცა შესაძლებლობა გავცნობოდი არქივებსა და წიგნსაცავებში დაცულ რუსულენოვან დოკუმენტურ მასალებს საქართველოს შესახებ. დოკუმენტების სიუხვემ მოლოდინს გადააჭარბა. მართალია არქივში დაცული დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ეროვნულ არქივშიცაა დაცული (თბილისის ხომ კავკასიის ცენტრს წარმოადგენდა), მაგრამ ვფიქრობ, რომ ზოგიერთი დოკუმენტი სიახლე უნდა იყოს ქართული სამეცნიერო წრეებისათვის, განსაკუთრებით მასალები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ორ მეზობელ რესპუბლიკას შორის არსებულ სასაზღვრო დავებთან 1918-1920 წლებში.

აღნიშნულის შესახებ მასალები დაცულია **სომხეთის სსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის № 114-ე და და სომხეთის პირველი რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის № 275-ე ფონდებში**. ეს ფონდები ბოლო დრომდე გასაიდუმლოებული იყო, ამჟამად კი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

აღნიშნულ ფონდებში დაცული დოკუმენტები ძირითადად ეხება ლორეს სასაზღვრო რეგიონის კუთვნილებასთან დაკავშირებული დავის საკითხებს. ქრონოლოგიურად იგი მოიცავს პერიოდს 1920 წლის დეკემბრიდან 1921 წლის იანვრამდე. როგორც ცნობილია, თურქეთმა 1920 წლის სექტემბერს განაახლა საბრძოლო მოქმედებები კავკასიის რესპუბლიკების, მათ შორის სომხეთის წინააღმდეგ, აიღეს ყარსი, აღექსანდრეპოლი და პრაქტიკულად სომხეთის მთელი ტერიტორია სევანის და ერევანის გამოკლებით. ერევანში საგარეო საქმეთა მინისტრისადმი თბილისიდან გაგზავნილ წერილში ნათლად ჩანს ნეიტრალური ზონის უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების აუცილებლობა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „საქართველოს მთავრობა ითვალისწინებს ქემალ ფაშას ჯარების ბოლოდროინდელ მოძრაობას და აქედან გამომდინარე საშიშროებას. გადავწყვიტეთ სომხეთსა და თურქეთს შორის საბრძოლო მოქმედებების შემთხვევაში უშუალოდ ნეიტრალური ზონის მეზობლად გააძლიეროთ ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთ ნაწილში საზღვრების დაცვა და დავიწყოთ მოლაპარაკებები სომხეთთან“ (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, გ. 114, ან. 2ს, ს. 11, ფურც. 2). საქართველო რომ აღნიშნულ ქმედებას ცალმხრივად არ წყვეტდა, ეს ჩანს ამ დოკუმენტიდანაც: გავრცელებული ხმები, „თითქოსდა საქართველომ გადაწყვიტა დაიკავოს ნეიტრალური ზონა სომხეთთან მოლაპარაკების გარეშე ეფუძნება გაუგებრობას“... „ჩვენ არ გვინდა ვისარგებლოთ თქვენი სირთულეებით. ჩვენ გვინდა მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოება. მზად ვართ მოლაპარაკებისათვის“ – ვკითხულობთ დოკუმენტში (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, გ. 114, ან. 2ს, ს. 11, ფურც. 2).

64034
СОГЛАШЕНИЕ МЕЖДУ ГРУЗИНСКОЙ ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКОЙ
И РЕСПУБЛИКОЙ АРМЕНИИ по вопросу о ВРЕМЕННОМ ВВОДЕ ГРУЗИНСКИХ
ВОЙСК В НЕЙТРАЛЬНУЮ ЗОНУ ВОРЧАЛИНСКОГО УЕЗДА.

В виду наступления на Армянскую Республику Турецких войск Ангорского Правительства и создавшейся угрозы Нейтральной Зоне и самой Грузии, по предложению Правительства последней уполномоченные упомянутых Правительств - со стороны Грузии Военный Министр Г.С. Лордкипанидзе и Товарищ Министра Иностранных Дел К.Р. Сабактарашвили, а со стороны Армении делегация Республики в лице председателя С.Г. Мамиконяна, Т.А. Вакаджяна и С.А. Хачатуряна заключили следующее соглашение:

1. По предложению Правительства Грузии Правительство Армении дает согласие на ввод в Нейтральную Зону Грузинских войск.
2. Нахождение Грузинских войск в Нейтральной Зоне не порождает никаких новых прав на эту территорию.
3. Администрация остается на прежних основаниях.
4. Все нужное для своего снабжения войска покупают по вольным ценам не прибегая к реквизиции.
5. В случае необходимости в нейтральную зону пропускаются беженцы из Армении в числе примерно до 10.000 душ.
6. Государственное имущество Армянского Правительства и его учреждений беспрепятственно должно быть пропускаемо в нейтральную зону, причем имущество это остается в полной собственности Армянской Республики и по требованию последней должно быть ей возвращено.
7. Для наблюдения за точным исполнением данного соглашения при Грузинском командовании в нейтральной зоне находится особо уполномоченный Армянского Правительства.
8. Данное соглашение заключается сроком на три месяца, после чего может быть продлено по обоюдному соглашению. Если новое соглашение не состоится, то данное соглашение теряет силу, войска уводятся и восстанавливается старое положение.
9. Соглашение это входит в силу с момента подписания и составляется в двух экземплярах за общую подписью.

13 Ноября, 1920г. гор. Тифлис.

/Следуют подписи/.

სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოების მიზნით ორი მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლებმა 13 ნოემბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებას ლორეს ნეიტრალურ ზონაში ქართული ჯარის შეყვანის შესახებ. სომხეთის მხრიდან ამ ხელმოწერის პროცესში მონაწილეობდნენ სტეპან მაშიკონიანი, ტიგრან ბეგზადიანი და სმბათ ხაჩატურიანი, ხოლო საქართველოდან სამხედრო მინისტრი ივანე ლორთქიფანიძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე საბახტარაშვილი. ლორეში ქართული ჯარის შეყვანა შედიოდა სომეხთა ინტერესებშიც. 114-ფონდის 56-ე საქმეში დაცულია აღნიშნული ხელშეკრულება რუსულ ენაზე.

ჩვენ მოვიპოვეთ ეს დოკუმენტი და ვთარგმნეთ ქართულ ენაზე, რომელსაც სრულყოფილად წარმოგიდგენთ ჟურნალის შემდეგ განყოფილებაში წარმოდგენილ დოკუმენტურ წყაროებში. ამიტომ მის შესახებ საუბარს აქ აღარ გავაგრძელებთ.

ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ლორეს ზონაში სომხეთის მთავრობის წარმომადგენლად დაინიშნა გევორქ ხატისიანი, რომელიც სასაზღვრო საკითხების მოლაპარაკებისა და დავის საკითხებში ჩაბმული იყო 1918 წლიდან. ხატისიანის რეზიდენცია განთავსდა სანაიანში. ხატისიანი დანიშნულების ადგილზე ჩასვლისთანავე სომხეთის ხელისუფლებას წარუდგენს ინფორმაციას ლორეში ქართული ჯარების შეყვანის საკითხებზე და ქართულ მხარეს ადანაშაულებს ხელშეკრულების პირობების დარღვევაში. მაღე, 1920 წ. 2 დეკემბერს სომხეთში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, რომლისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა დაშნაკურ სომხეთსა და მენშევიკურ ხელისუფლებას შორის გაფორმებული 13 ნოემბრის ხელშეკრულება. საქმეში დაცულია ხატისიანის 1920 წ. 19 დეკემბრის (ПИСЬМО ОСОБОУПолНОМОЧЕННОГО ПРАВИТЕЛЬСТВА АРМЕНИИ В НЕЙТРАЛЬНОЙ ЗОНЕ БОРЧАЛИНСКОГО УЕЗДА Г. ХАТИСЯНА ПРЕДСТАВИТЕЛЮ РЕВКОМА АРМЕНИИ В ГРУЗИИ, სომხეთის ცსა, ფ. 275, ან.. 5, საქმ.. 223, ფურც 132–133) და 9 იანვრის (ПИСЬМО ОСОБОУПолНОМОЧЕННОГО ПРАВИТЕЛЬСТВА АРМЕНИИ В НЕЙТРАЛЬНОЙ ЗОНЕ БОРЧАЛИНСКОГО УЕЗДА Г. ХАТИСЯНА ПРЕДСТАВИТЕЛЮ РЕВКОМА АРМЕНИИ В ГРУЗИИ. სომხეთის ცსა, ფ.. 275, ან. 5, ს. 223, ფურც 140–141) წერილები და 10 იანვრის „ჩანაწერი“, რომლებშიც საქართველოს ხელისუფლებას უყენებს სხვადასხვა სახის ბრალდებებს, თუმცა არაფერს ამბობს ან და ამბობს მისთვის სასურველ კონტექსტში იმის შესახებ, რომ საქართველომ ჯარები შეიყვანა სომხეთის თანხმობით და იქ იმყოფებიან 13 ნოემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით (სომხეთის ცსა, ფ. 275, ან.. 5, საქმ.. 223, ფურც 132–133; 140–141).

ხატისიანის მესამე დოკუმენტი, ე. წ. „ზაპისკა“ 1920 წ. 10 იანვრითაა დათარიღებული და ეხება საქართველო-სომხეთის სასაზღვრო საკითხებს არა მარტო ლორეს სადავო რეგიონში, არამედ საქართველო-სომხეთის საზღვრის მთელ პერიმეტრზე.

ფონდში დეტალურადაა აღწერილი ნეიტრალური ზონის საზღვრები (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 56, ფურც. 3), ზონაში შემაჯავალი სოფლები (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 56, ფურც. 4), ნეიტრალური ზონის კომისრის გ. ლლონტის მიმართეობი ბორჩალოს უეზდის ნეიტრალური ზონის კომისარიაციისა და უზნის ხელმძღვანელები-სადმი, რომელშიც ნათლად ჩანს ქართული სახელმწიფოს მიზანი – მოსახლეობის დაცვა, სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოება (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 56, ფურც. 3, 4),

114-ე ფონდის სხვა საქმეებში წარმოდგენილია სომხეთის და საქართველოს საგარეო უწყების წარმომადგენელთა მიმოწერები. როგორც ცნობილია, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ მოითხოვა ქართული ჯარების გაყვანა ლორეს ნეიტრალური ზონიდან, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ ზემოთდასახელებული ხელშეკრულების საფუძველზე. სომხეთის საგარეო უწყების ნოტებში ეს ტერიტორიები დასახელებულია, როგორც „სომხეთის უდავო მიწები“ და ქართველები დადანაშაულებულნი არიან ხელშეკრულების პირობების დარღვევაში, რეგიონის ოკუპაციაში, ტელეგრაფისტების დაპატიმრებაში, სადამსჯელო ექსპედიციების გაგზავნაში და ა. შ. ეს პოზიციაა დაფიქსირებული საქართველოს საგარეო უწყებისადმი ერევნიდან გამოგზავნილი 1920 წლის 17 ნოემბრის № 4874 (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, გ. 114, ან. 2ს, ს. 11, ფურც. 1), 27 დეკემბრის ნოტებით (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ც, ს. 26, ფურც. 7), ასევე 1921 წ. 15 იანვრის (სომხეთის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 54,55; ასევე, საქმე № 22, ფურც. 80) ნოტებში.

სომხური მხარე ითხოვს გენერალ-გუბერნატორობის ინსტიტუტის არალეგიტიმურად გამოცხადებას და მოუწოდებს ადგილობრივებს დაუმორჩილებლობისაკენ (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 56, ფურც. 33-37).

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სომხური მხარე ერთის მხრივ მოითხოვს ქათული ჯარების გაყვანას ნეიტრალური ზონიდან (რაც 13 ნოემბრის შეთანხმების დარღვევაა), მეორეს მხრივ კი ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად და უცნობებლად იღებს თურქეთის უღტიმატიმს, რომლის მიხედვითაც „თურქეთის მიერ უნდა გაიწმინდოს ბორჩალოს უეზდის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ნეიტრალური ზონის – ვორონცოვკის ხაზიდან სოფელ ნალბანდამდე, ასევე ბორჩალოს უეზდის სამხრეთი ნაწილი“, ხოლო „სანაიანის სადგურზე დაშვებულ იქნას თურქეთის საკონტროლო კომისია“ (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 11, ფურც. 3).

კასიანის 1920 წ. 7 დეკემბრით დათარიღებულ წერილში პირდაპირი დავალება ეძლევა აივაზოვს „დაუყოვნებლივ აიყვანონ შინაპატიმრობაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი და მთელი მისი თანამშრომლები სომხეთში (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 23, ფურც. 1). დავალების შესაბამისად სომხეთში საქართველოს წარმომადგენელი გენერალი კარალოვი და მისიის მდივანი პოლკოვნიკი მიქაბერიძე 1920 წ. 7 დეკემბერს აიყვანეს შინაპატიმრობაში, რაც საქართველოს მხარის მიერ მიჩნეულ იქნა მტრულ ნაბიჯად: „ეს ფაქტი ჩვენს მიერ განხილულია, როგორც სომხეთის მხრიდან მტრული მოქმედება და ვაცხადებთ ენერგიულ პროტესტს. მოვითხოვთ მათ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას“, ვკითხულობთ ქართული მხარის მიერ გაგზავნილ საპროტესტო ნოტაში (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 12, ფურც. 5).

საქმე № 26 ეხება სომხეთის მიერ 13 ნოემბრის ხელშეკრულების ცალმხრივად, ქართულ მხარესთან შეთანხმების გარეშე ანულირების საკითხს (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 4). დოკუმენტში წარმოდგენილი ერვანდ

აირაპეტიანის მოხსენებიდან ჩანს, რომ სომხები ადგილობრივ მოსახლეობაში ატარებენ ღონისძიებებს საბჭოთა სომხეთისადმი ღორეს მიერთების პროპაგანდით, ქმნიან მებრძოლ ჯგუფებს და ამზადებენ მოსახლეობას აჯანყებისათვის. დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 1920 წლის 17 დეკემბრით, ვკითხულობთ: „ჩვენი ორგანიზაცია მომზადებულია აჯანყებისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ ყველა აგრესიული მოქმედება საქართველოსთან მიმართებაში შეთანხმებული უნდა იყოს ჩვენს საერთო პოლიტიკასთან, ველოდებით ინსტრუქციას სომხეთის რეგოკომისაგან (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 2). რაც შეეხება ხელშეკრულების ცალმხრივად ანუღირებას, ამის შესახებ სომხეთის საგარეო უწყებამ ქართულ მხარეს აცნობა 1920 წ. 18 დეკემბრის წერილით (ე.ი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან რამდენიმე დღის შემდეგ). დოკუმენტში ვკითხულობთ: „სომხეთის რეგოკომს არ შეუძლია ცნოს საქართველო-სომხეთის 1920 წლის 13 ნოემბრის შეთანხმება. ჩვენს მიერ პირადად იქნა წამოყენებული წინადადებები კონკრეტული ღონისძიებების გასატარებლად დეკემბრის თვიდან ქართული ჯარის ნეიტრალური ზონიდან გაყვანის შესახებ“, რომ „13 ნოემბრის შეთანხმება თავისი არსით მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ ძალას... განსაზღვრულ მომენტში იგი მისაღები იყო დაშნაკების ხელისუფლებისათვის, მაგრამ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს შეთანხმება კარგავს ძალას. ამიტომ სომხეთის რეგოკომმა მოახდინა მისი ანუღირება და მოითხოვს ნეიტრალური ზონიდან ქართული ჯარების გაყვანას.“ (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 4; ასევე, საქმე 42, ფურც. 3).

იმავე საქმეში არის ქართული მხარის საპასუხო წერილი, რომელშიც მიუღებლადაა მიჩნეული ხელშეკრულების ცალმხრივად ანუღირების საკითხი. „თუ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო უნდა დაისვას ამ შეთანხმების ანუღირების საკითხი, მაშინ ამავე საფუძველით ყველა დანარჩენი ხელშეკრულებაც უნდა გაუქმდეს, რომელსაც მოაწერა ხელი საქართველომ სომხეთის ყოფილ ხელისუფლებასთან“ – ვკითხულობთ დოკუმენტში (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 4).

საარქივო ფონდებში წარმოდგენილია საქართველოს საგარეო უწყების მიერ ერევანში გაგზავნილი წერილები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოლაპარაკებების სურვილი არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. ქართული მხარე ამ მოლაპარაკებებში არ გამორიცხავს რუსეთის მონაწილეობასაც. ამავე დროს აღნიშნულია, რომ ღორეს რეგიონში ქართული ჯარების შეყვანა ხელშეკრულების საფუძველზე სრულიად უმტიკივანელოდ განხორციელდა, რომ ამ ღონისძიებით შემცირდა სომეხი ლტოლვილების რაოდენობა, ხალხი დაუბრუნდა მამაპაპისეულ ადგილებს, ხელი შეეწყო ქურდობისა და ყაჩაღობის წინააღმდეგ ბრძოლას. დოკუმენტში მკაფიოდაა დაფიქსირებული, რომ ქართულ მხარეს არ გაუგზავნია არავითარი დამსჯელი ექსპედიცია, ხოლო ტელეგრაფისტების დაპატიმრება განპირობებული იყო აგენტურულ საქმიანობაში მათი მონაწილეობის ფაქტებთან (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 11, ფურც. 16)

ფონდში დაცული დოკუმენტები ეხება აგრეთვე 1921 წ. იანვარ-მარტის განმავლობაში სომხეთის მიერ საქართველოს სასაზღვრო ხაზის დარღვევის (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 49, ფურც. 1-30), საქართველოში სომხეთის მთავრობის წარმომადგენლად შავერდოვის დანიშვნის (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 49, ფურც. 2), სამხედრო ხასიათის (ქართული ჯარების რაოდენობა, განლაგება და ა. შ.) შემცველი ინფორმაციის (სომხეთის ეროვნული არქივის ცსა,


ფ. 114, ან. 2ს, ს. 26, ფურც. 9-16), საქართველოს სასურსათო მდგომარეობის, მატარებლების დაუბრკოლებელი მოძრაობის (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 62), საქართველოში სომხეთის დიპლომატიური მისიის შემადგენლობის, ლორეს ზონის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის, რეგიონის პოლიტიკური ბიუროს შემადგენლობის (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 82, ფურც. 1-41) და სხვა საკითხების შესახებ.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო სომხეთა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია „აკულტა“-ს დროებითი კომისრის 1921 წ. 16 მარტის წერილმა საქართველოს რეკომისადმი, რომელშიც საუბარია საქართველოში ჩამოყალიბებული სომხეთის ეროვნული საბჭოს შესახებ. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ეს ორგანო მნიშვნელოვან ღონისძიებებს უწყვედა ორგანიზებას, ინახავდა 120 სკოლას, ეხმარებოდა დაზარალებულ სომხურ იჯახებს, თავის ირგვლივ გააერთიანა საქართველოში მოქმედი ყველა სომხური კულტურული დაწესებულება. იქვე საუბარია სომხეთის რეკომის თავმჯდომარის სურენ ერზინკიანისა და ადგილობრივი სომეხი კომუნისტების ინიციატივით თბილისში დაფუძნებული სომხების კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია „აკულტი“-ს დროებითი კომისარიატის საქმიანობის შესახებაც. ორგანიზაციის ხელმძღვანელები თხოვენ საქართველოს ხელისუფლებას, რომ საქართველოში მოქმედი სომხეთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები შევიდეს სომხეთის განათლების სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში (სერ ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 61, ფურც. 17).

ფონდში ვხვდებით მასალებს ბათუმში სომხეთის კონსულის თუმანიანის დაპატიმრების (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 146, ფურც. 36), საკონსულოს საქმიანობის, შემდეგ კი, 1922 წ. მარტიდან მისი საქმიანობის შეჩერების შესახებაც (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 146, ფურც. 1-70).

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საქართველოში 1921 წლისათვის კვლავ მომრავლებულან სომეხი ღტოლვილები. № 46 110 ფურცლიან საქმეში წარმოდგენილია სომეხი ღტოლვილის შესახებ არმენკომის მიერ 1921 წ. 31 მაისს მიღებული დადგენილება, რომლიდანაც ჩანს, რომ ღტოლვილი სომეხები საქართველოში გადმოსულან „ყარსიდან, ალექსანდრეპოლიდან, ბაიაზეთიდან, იგდირის რაიონებიდან – სომხეთ-თურქეთის 1920 წლის ომის შემდეგ. სომეხები საქართველოში წავიდნენ, რადგან მათი სამშობლო დაიკავეს თურქებმა“ (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 46, ფურც. 51). „თბილისში, ნავთლულში, მადათოვის კუნძულზე, სადგურის რაიონში, ვორონცოვის ქუჩაზე და მდ. მტკვრის გაყოლებაზე – ვორონცოვის ქუჩიდან ნავთლულამდე ღია ცის ქვეშ ცხოვრობს 6-8 ათასი ღტოლვილი“. დადგენილებაში აღნიშნულია მათთვის დახმარებისა და 100 საწოლიანი საავადმყოფოს გახსნის აუცილებლობის საკითხი (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს, ს. 46, ფურც. 51).

საარქივო დოკუმენტებიდან თვალსაჩინო ხდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: საბჭო-




თა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც საქართველოს ტერიტორიაზე, სადახლოდან შულავერამდე მატარებელს სომხეთის მილიცია აცილებდა, რაც ქმნიდა გარკვეულ გართულებებს, რადგან ლტოლვილების საქართველოში შემოსვლის აკრძალვის მიუხედავად სომეხი მილიციონერები არაფერს აკეთებდნენ მათ შესაკავებლად. შესაბამისად დიდი იყო დანაშაულობებისა და კონტრაბანდისტული საქმიანობის საშიშროება. აღნიშნულის თაობაზე № 26 საქმეში დაცულია საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ა. სვანიძის 1921 წ. 31 ოქტომბრით დათარიღებული წერილი სომეხი კოლეგის მრავიანისადმი, რომელშიც იგი ითხოვს რკინიგზის საქართველოს მონაკვეთზე სომეხი მილიციონერების ჩანაცვლებას ქართველი სამართალდამცავებით. ა. სვანიძე სვამს აგრეთვე სასაზღვრო საკითხების გადაჭრის აუცილებლობის საკითხს, რომელიც უნდა განეხილა განსაკუთრებულ კომისიას. კომისიის შემადგენლობა ქართველების მიერ უკვე დასახელებული იყო და ა. სვანიძე ამასვე ითხოვდა სომხეთის ხელისუფლებასაც (სეა ცსა, ფ. 114, ან. 2ს. ს. 26, ფურც. 98).

სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო დავებისა და კონფლიქტის საკითხებზე მასალები დაცულია სომხეთის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – მატენადარანში.

სომხეთ-საქართველოს ომის შემდეგ, 1919 წელს, სომეხთა ეროვნულმა საბჭომ ბაქოში, ტოპოგრაფია „ურარდია“-ში დასტამბა 38 გვერდიანი ბროშურა – „სომხეთ - საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი ფაქტობრივი მონაცემებისა და ნამდვილი დოკუმენტების საფუძველზე“ (რუსულ ენაზე). ეს ბროშურა დაცულია სომხეთის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – მატენადარანში ნომრით 1660.

ნაშრომში უგულებელყოფილია ისტორიზმის პრინციპები. რეალური ვითარების მრუდე სარკეში წარმონეწილ ავტორი ცდილობს მთელი პასუხისმგებლობა დააკისროს საქართველოს ხელისუფლებას. ბროშურაში ქართული მხარე „იმპერიალისტებადაა“ მოხსენიებული, რომელიც თითქოსდა სარგებლობდა სომხეთის სირთულეებით და გერმანიის მხარდაჭერით ცდილობდა თავისი იმპერიული ზრახვების განხორციელებას – „სომხეთ -საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი 1919:12). წიგნში წინა პლანზეა წამოწეული ეთნიკური პრინციპის საფუძველზე ტერიტორიების გადანაწილების აუცილებლობის საკითხი. წიგნში ვკითხულობთ, რომ საქართველოსთან სადავო ახალქალაქის, მიმდებარე წალკის, ბორჩალოს უეზდებში, მდ. ხრამიდან და ყაზახის უეზდის სამხრეთით მდებარე სომხური ნაწილში ცხოვრობს 260 ათასი სომეხი, 7 ათასი ქართველი. აზერბაიჯანთან სადავო ყაზახში 70 პროცენტი სომეხია (სომხეთ – საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი, 1919:2). ავტორები რატომღაც არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა ძირძველ ქართულ ტერიტორიებზე სომხური მოსახლეობა. ამ სტატისტიკაში ისინი არ მოიაზრებენ ყარსსა და



ბათუმს, რადგან ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ეს ტერიტორიები ჩამოაჭრეს კავკასიას, რომელზეც ასევე ჰქონდათ პრეტენზიები. ეს დაადასტურა შემდგომი პერიოდის მოვლენებმა.

სომხათ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ რუსულენოვანი ნაშრომები დაცულია სომხეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც. მათგან მნიშვნელოვანია 1919 წელს გამოცემული „Документы, относящиеся к конфликту между грузинским и армянским правительствами с октября по декабрь 1918 года“.

სომხეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია ქართველი ავტორის (ავტორი მითითებული არაა) წიგნი „Из истории Армяно-грузинских отношений, 1918 год (пограничные конфликты, переговоры, война, соглашение) (Тифлиς, государственная типография, 1919). ვფიქრობ, ეს წიგნი დაცული იქნება საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც. ამიტომ მის შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

ჩვენს წინაპრებს ყოველთვის ჰქონდათ მეგობრული ურთიერთობა სომხებთან. მეგობრული და ტრადიციული ურთიერთობის საკითხებზე სომხეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნებიდან მნიშვნელოვანია ოვანეს თუმანიანის წერილები და მის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები. მათ შორის უნდა დავასახელოთ: ო. თუმანიანის „სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობის შესახებ“ (ერევანი, 1951) და კ. გრიგორიანის ნაშრომი „ოვანეს თუმანიანი (1869-19230) (ლენინგრადი, 1950).

ოვანეს თუმანიანი უმღეროდა კავკასიის ამ ორი უძველესი ხალხის მეგობრობას. იგი ღირსეულად მოიქცა ძმათამკვლელი ომის დროს და ერევანში ჩარჩენილ შეილებს დაემუქრა, რომ ქართველების წინააღმდეგ ბრძოლის შემთხვევაში მათზე უარს იტყოდა (აღესილი ხმლები. 1919 წ. 18 დეკემბერს ო. თუმანიანმა, როგორც გაერთიანებული „პატრიოტული კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ მოიწვია საგანგებო სხდომა და მიიღეს მიმართვა ძმათამკვლელი ომის შეწყვეტის შესახებ. მას მიაჩნდა, რომ, არ არსებობდა ამ ორ მოძმე ხალხს შორის საკითხი, რომლის მოგვარება არ შეიძლებოდა მშვიდობიანი გზით“ (კ. გრიგორიანი, 1950:233). ლევან ყიფიანისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში ო. თუმანიანმა სომეხ-ქართველთა ომი და მტრობა ხელისუფლებების მიერ შექმნილ ხელოვნურ პრობლემად გამოაცხადა, ხოლო ძმობა-სიყვარული – ბუნებრივად: „ლორეს ხეობაში – წერდა პოეტი, არის ხიდი. ხიდის ერთ ბოლოში დააყენეს სომეხი მეომარი, მეორე ბოლოში-ქართველი. ორივენი არიან შეიარაღებული და შეუპოვრად უთვალთვალებენ ერთმანეთს. როგორც აღმოჩნდა, ისინი მეგობრები იყვნენ, ერთად იბრძოდნენ, ერთად ეწამებოდნენ, ერთად უხაროდნენ, ერთად ჭამდნენ და სვამდნენ. ესეა ისინი დააყენეს ერთმანეთის პირისპირ. მაგრამ მათ თხოვეს ახლოს მდებარე სოფლებებს – იყო თუ არა ახლოს ხელმძღვანელობა და ხომ არ უთვალთვალებდნენ მათ. როცა გაიგეს, რომ არავინ უთვალთვალებდა, ერთმანეთისაკენ გაიქცნენ, მოეხვივნენ და გადაკოცნეს ერთმანეთი. შემდეგ დაიკავეს თავთავიანთი ადგილები“ (კ. გრიგორიანი, 1950:234, ასევე, ო. თუმანიანი, 1951:28).

სომხეთის არქივებსა და წიგნსაცავებში სხვა მრავალი საინტერესო დოკუმენტებიცაა დაცული საქართველოზე. მათ შესახებ მკითხველს მოვუთხრობთ სხვა პუბლიკაციებში.